საქართველოს მთავრობის

დადგენილება №28

2018 წლის 24 იანვარი

ქ. თბილისი

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ

მუხლი 1

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებისთვის განისაზღვროს სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შემდეგი პირობები:

1. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს აქვთ სოციალურ-ეკონომიკური გარანტიებით თანაბრად სარგებლობის უფლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. სახელმწიფო იძლევა მისი სოციალური დაცვის გარანტიას, რომელიც მოიცავს:

ა) თანამდებობრივ სარგოს;

ბ) სარგოს სპეციალური წოდებისათვის;

გ) ყოველთვიურ პროცენტულ (წელთა ნამსახურობის) დანამატს;

დ) სასურსათო უზრუნველყოფის კომპენსაციას;

ე) ფორმის ტანსაცმლისა და სანივთე ქონებით უზრუნველყოფის კომპენსაციას;

ვ) დანამატს ჯანმრთელობისათვის მავნე პირობებში სამსახურისათვის;

ზ) დანამატსა და ფულად ჯილდოს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დასაშვებ ფარგლებში განსაზღვრავს სამსახურის უფროსი;

თ) სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებას;

ი) სახელმწიფო ჯილდოების, ხარისხებისა და ორდენებისათვის დაწესებულ, აგრეთვე ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებისათვის კანონმდებლობით დადგენილ შეღავათებს;

კ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევას, აგრეთვე დახმარებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჯანმრთელობის დაზიანების, დაინვალიდების ან დაღუპვის შემთხვევაში;

ლ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ყოველწლიური, დამატებითი და დროებითი შრომისუუნარობის გამო შვებულებით სარგებლობის უფლებას, საქართველოს კანონმდებლობით სამხედრო მოსამსახურისათვის დადგენილ სხვა სახის სოციალურ შეღავათებს.

3. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლების თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება:

ა) კადრის, საკონტრაქტო-პროფესიული, საკონტრაქტო და სამხედრო სავალდებულო სამსახურში

ჩარიცხული მოსამსახურეებისთვის – ამ დადგენილებით;

ბ) საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშნული სამოქალაქო პირებისთვის – სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტით, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული თანამდებობათა რანგების, იერარქიული დონეებისა და კოეფიციენტების მიხედვით;

გ) შრომითი ხელშეკრულებით მიღებული სამოქალაქო პირებისათვის – შრომითი ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზღვრების ფარგლებში და არანაკლებ, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს მინიმალური ოდენობისა.

4. სარგო სპეციალური წოდებისათვის ეძლევათ მხოლოდ კადრის, საკონტრაქტო-პროფესიულ და გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულ მოსამსახურეებს, ამ დადგენილებით განსაზღვრული ოდენობით.

5. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კადრის, საკონტრაქტო-პროფესიულ და საკონტრაქტო სამსახურში გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე ჩარიცხულ მოსამსახურეებს, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, აგრეთვე იმ სახელმწიფო ორგანოებში, რომლებშიც დაწესებულია სახელმწიფო სპეციალური ან/და სამხედრო წოდებები, სამხედრო წოდებით, სახელმწიფო სპეციალური წოდებით ან/და სამოქალაქო პირად ნამსახურევი კალენდარული წლების (გარდა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის პერიოდისა) მიხედვით ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული (წელთა ნამსახურობის) დანამატი, ერთი თვის კუთვნილი ფულადი სარგოს შემდეგი ოდენობით:

ა) 1-დან 2 წლამდე – 5%;

ბ) 2-დან 5 წლამდე – 10%;

გ) 5-დან 10 წლამდე – 15%;

დ) 10 წელი და მეტი – 20%.

შენიშვნა:

ამ დადგენილების მიზნებისათვის:

ა) ფულადი სარგო ნიშნავს თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების ჯამს;

ბ) შრომის ანაზღაურება (ხელფასი) ნიშნავს ყველა სახის სარგოს, დანამატსა და კომპენსაციას.

6. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელს შეიძლება მიეცეს კვებით უზრუნველყოფის საკომპენსაციო თანხა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესითა და ოდენობით. სასურსათო ულუფით უზრუნველყოფაზე (საულუფე კმაყოფაზე) უფლებამოსილ მოსამსახურეთა შემადგენლობა განისაზღვრება სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანებით. კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯების გაწევა უნდა განხორციელდეს ამ დადგენილებით განსაზღვრული კვებით უზრუნველყოფის საორიენტაციო ნორმების გათვალისწინებით.

7. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის სპეციალური ფორმის ტანსაცმლითა და სხვა სანივთე ქონებით უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული სახეობებისა და სეზონების მიხედვით, ხოლო მოხმარების (სარგებლობის) პერიოდულობას, პირობებსა და თანამშრომელთა შესაბამის კატეგორიას განსაზღვრავს სამსახურის უფროსი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კადრის, საკონტრაქტო-პროფესიული და გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულ მოსამსახურეს, რომელიც, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ მოიხმარს სპეციალური ფორმის ტანსაცმელს, ეძლევა საკომპენსაციო თანხა წელიწადში 500 ლარის ოდენობით. აღნიშნული კომპენსაცია გაიცემა ყოველკვარტალურად, წლიური საკომპენსაციო თანხის ერთი

მეოთხედის ოდენობით. ფორმის ტანსაცმლისა და სანივთე ქონებით უზრუნველყოფის კომპენსაცია არ ეძლევათ სამოქალაქო პირებს, სამხედრო სავალდებულო სამსახურსა და მოკლევადიანი კონტრაქტის საფუძველზე საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულ მოსამსახურეებს.

8. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს, რომლებსაც თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება უწევთ ჯანმრთელობისათვის მავნე რადიაციულ პირობებში ან/და დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე უშუალო კონტაქტი აქვთ ქიმიურ, მომწამლავ, რადიაქტიურ და სხვა მავნე ნივთიერებებთან, სამსახურის უფროსის ბრძანებით ეძლევათ ყოველთვიური კომპენსაცია არაუმეტეს ერთი თვის კუთვნილი თანამდებობრივი სარგოს 50%-ის ოდენობით. შესაბამის თანამდებობათა ნუსხას, საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, განსაზღვრავს სამსახურის უფროსი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. მნიშვნელოვანი დავალების ჯეროვნად შესრულებისათვის, აგრეთვე სანიმუშო დისციპლინისა და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს სამსახურის უფროსის ბრძანებით შეიძლება მიეცეთ ფულადი ჯილდო ან დანამატი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს შეიძლება გაეწიოთ მატერიალური დახმარება სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული ოდენობით.

11. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლების სამსახურებრივი მივლინება და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამავე კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით დადგენილი წესით.

12. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები სახელმწიფო ჯილდოებისათვის, ხარისხებისა და ორდენებისათვის, აგრეთვე ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებისათვის განსაზღვრული სოციალური შეღავათებით სარგებლობენ საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაინვალიდების ან ტრავმის მიღების შემთხვევაში, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს ეძლევათ „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

14. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის დაღუპვის ან მიღებული ტრავმის შედეგად გამოწვეული ავადმყოფობით გარდაცვალების შემთხვევაში, მის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი მატერიალური დახმარება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ნეშტის გადასვენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

15. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური თანამშრომლებს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევით. დაზღვევით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები რეგულირდება სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ზარალს, რომელიც მიადგა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სრულად აანაზღაურებს სამსახური იმ შემთხვევაში, თუ ეს არ არის თანამშრომლის უკანონო ქმედების შედეგი.

16. დაზღვეული თანამშრომლის ჯანმრთელობის დაზიანების, დაინვალიდების ან/და დაღუპვის (გარდაცვალების) შემთხვევაში, სადაზღვევო თანხა გაიცემა შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები სამსახურის შინაგანაწესით დადგენილი წესით სარგებლობენ ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების უფლებით, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 30 კალენდარული დღით. თანამშრომლებს უფლება აქვთ,

ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება გამოიყენონ ნაწილ-ნაწილ (არაუმეტეს ორისა), გარდა სამსახურის შინაგანაწესით განსაზღვრული შემთხვევისა.

18. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებისთვის დადგენილია არანორმირებული სამუშაო დღე. კადრის და საკონტრაქტო-პროფესიული სამსახურის მოსამსახურეებს, სამსახურის გავლის ერთი დღე ეთვლებათ ნამსახურობის დღე-ნახევრად შრომის დამატებითი ანაზღაურების გარეშე. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისას, აგრეთვე სხვა ობიექტური წინაპირობების საფუძველზე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები სამსახურის უფროსის ბრძანებით შეიძლება გადაყვანილ იქნენ საგანგებო სამუშაო რეჟიმზე. სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით შეიძლება დადგინდეს სამსახურის გავლის სხვა განსაკუთრებული პირობები.

19. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესაბამისი კატეგორიის თანამშრომელთა კვებით უზრუნველყოფა ხორციელდება ამ დადგენილებით განსაზღვრული საორიენტაციო ნორმების მიხედვით.

20. დამტკიცდეს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კადრის, საკონტრაქტო-პროფესიული და გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულ მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების ნუსხა თანდართული რედაქციით (დანართი №1).

21. ამ დადგენილების №1 დანართით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს კატეგორიას ანიჭებს აგრეთვე არასრული განაკვეთის მიხედვით შრომის ანაზღაურების შემთხვევებს განსაზღვრავს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

22. საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დანიშნული სამოქალაქო პირის თანამდებობრივი სარგო სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტით უნდა განისაზღვროს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით დადგენილი შრომის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დაცვით. მისი თანამდებობრივი სარგო არ უნდა იყოს ამავე თანამდებობისთვის იგივე განაკვეთზე (სრული, არასრული) ამ დადგენილების №1 დანართით განსაზღვრულ სარგოზე 15%-ით ნაკლები და 30%-ით მეტი.

23. თანამშრომლებს, რომლებიც სამსახურს გადიან სხვა სახელმწიფო უწყებებში ან სხვა ორგანიზაციებში, თანამდებობრივი სარგო განესაზღვრებათ ამ უწყებებსა და ორგანიზაციებში დადგენილი თანამდებობრივი სარგოს (განაკვეთის) ოდენობით, მაგრამ არანაკლებ ამ დადგენილების დანართ №1-ით განსაზღვრული ოდენობისა. თუ აღნიშნულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დაწესებული თანამდებობრივი სარგო ამ დადგენილების დანართ №1-ით შესაბამისი თანამდებობისთვის განსაზღვრულ თანამდებობრივ განაკვეთზე ნაკლებია, სხვაობას აანაზღაურებს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

24. თანამშრომლებს, რომლებიც სამსახურს გადიან სხვა სახელმწიფო უწყებებში ან სხვა ორგანიზაციებში, ამ დადგენილებით განსაზღვრული სარგოებისა და პირთა წრის მიხედვით წოდებრივი სარგოთი, ყოველთვიური პროცენტული (წელთა ნამსახურობის) დანამატით, დათხოვნასთან დაკავშირებული ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარებით, სასურსათო ულუფის სანაცვლოდ დაწესებული ფულადი კომპენსაციითა და ფორმის ტანსაცმლით ან შესაბამისი ფულადი კომპენსაციით უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური. სხვა სოციალურ შეღავათებს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრავს და ფინანსურად უზრუნველყოფს ის უწყება ან ორგანიზაცია, რომელშიც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი გადის სამსახურს.

25. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს უნარჩუნდებათ ფულადი სარგოები ბოლოს დაკავებული თანამდებობის მიხედვით, არაუმეტეს ორი თვისა.

26. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს სამსახურიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, ავადმყოფობის გამო ან რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, აგრეთვე წელთა ნამსახურობის საფუძველზე დათხოვნისას, ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი)

დახმარება ორი თვის ფულადი სარგოს ოდენობით, მისი დათხოვნის დღისათვის დაკავებული თანამდებობის მიხედვით.

27. დამტკიცდეს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საკონტრაქტო სამსახურში მოკლევადიანი კონტრაქტის საფუძველზე ჩარიცხულ საკონტრაქტო მოსამსახურეთა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფ მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ნუსხა თანდართული რედაქციით (დანართი №2).

28. დამტკიცდეს თანდართული სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კადრის, საკონტრაქტო-პროფესიული და გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულ მოსამსახურეთა სარგოების ნუსხა სპეციალური წოდებისათვის (დანართი №3).

29. დამტკიცდეს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა კვებით უზრუნველყოფის საორიენტაციო ნორმები (დანართი №4).

30. ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდეს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 დეკემბრის დადგენილება №640 - ვებგვერდი, 27.12.2018წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ივნისის დადგენილება №366 – ვებგვერდი, 15.06.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის დადგენილება №30 – ვებგვერდი, 23.01.2023წ.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსმა, საჭიროების მიხედვით, გამოსცეს ბრძანებები:

ა) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშნულ სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების შესახებ;

ბ) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა ფორმის ტანსაცმლითა და სხვა სანივთე ქონებით უზრუნველყოფისა და მოხმარების (სარგებლობის) პერიოდულობის განსაზღვრის შესახებ;

გ) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლების კვებით უზრუნველყოფის შესახებ;

დ) ჯანმრთელობისათვის მავნე პირობებში მომუშავე მოსამსახურეთა თანამდებობრივი ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მუხლი 3

1. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.
2. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის №77 დადგენილება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დანართი №1
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 თებერვლის დადგენილება №84 – ვებგვერდი, 18.02.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ივნისის დადგენილება №366 – ვებგვერდი, 15.06.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის დადგენილება №443 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 იანვრის დადგენილება №26 – ვებგვერდი, 27.01.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის დადგენილება №30 – ვებგვერდი, 23.01.2023წ.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კადრის, საკონტრაქტო-პროფესიული და გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულ მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების ნუსხა, სამსახურის საშტატო ნუსხისა და სტრუქტურული დანაყოფების მიხედვით

	1. სამსახურის ხელმძღვანელობა	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა
ა)	სამსახურის უფროსი	9500
ბ)	სამსახურის უფროსის მოადგილე	7800
გ)	სამსახურის უფროსის კონსულტანტი	3500
დ)	სამსახურის უფროსის თანაშემწე	2600 (I კატეგორია)
		2250 (II კატეგორია)
ე)	მთავარი სპეციალისტი	2000 (I კატეგორია)
		1600 (II კატეგორია)
	2. პირადი დაცვის დეპარტამენტი	
ა)	დეპარტამენტის უფროსი	6200
ბ)	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	5600
გ)	სამმართველოს უფროსი	4500 (I კატეგორია)
		4250 (II კატეგორია)
		4000 (III კატეგორია)
დ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	3700 (I კატეგორია)
		3500 (II კატეგორია)
		3350 (III კატეგორია)
ე)	განყოფილების უფროსი	3250 (I კატეგორია)
		3000 (II კატეგორია)
		2800 (III კატეგორია)
		2600 (IV კატეგორია)
ვ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	3000 (I კატეგორია)
		2750 (II კატეგორია)
		2550 (III კატეგორია)
		2300 (IV კატეგორია)
ზ)	ქვეგანყოფილების უფროსი	2850 (I კატეგორია)
		2550 (II კატეგორია)
		2300 (III კატეგორია)

		2100 (IV კატეგორია)
თ)	ცვლის უფროსი	2850 (I კატეგორია)
		2550 (II კატეგორია)
		2300 (III კატეგორია)
		2100 (IV კატეგორია)
ი)	დაცვის უფროსი ოფიცერი	2800 (I კატეგორია)
		2500 (II კატეგორია)
		2250 (III კატეგორია)
		2000 (IV კატეგორია)
კ)	დაცვის ოფიცერი	2700 (I კატეგორია)
		2450 (II კატეგორია)
		2150 (III კატეგორია)
		1850 (IV კატეგორია)
ლ)	მძღოლი ოფიცერი	2800 (I კატეგორია)
		2500 (II კატეგორია)
		2250 (III კატეგორია)
		2000 (IV კატეგორია)
მ)	მთავარი სპეციალისტი	1650
ნ)	წამყვანი სპეციალისტი	1600
ო)	დამხმარე მოსამსახურე	900
	3. სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტი	
ა)	დეპარტამენტის უფროსი	6200
ბ)	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	5600
გ)	სამმართველოს უფროსი	4250
დ)	სამმართველოს უფროსი (რეგიონალური)	4050
ე)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	3500
ვ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე (რეგიონალური)	3400
ზ)	განყოფილების უფროსი	3000
თ)	განყოფილების უფროსი (რეგიონალური)	3000

ი)	განყოფილების უფროსის მოადგილე	2800
კ)	განყოფილების უფროსის მოადგილე (რეგიონალური)	2800
ლ)	ჯგუფის უფროსი	2650
მ)	ჯგუფის უფროსი (რეგიონალური)	2550
ნ)	წამყვანი სპეციალისტი	1600
ო)	უფროსი სპეციალისტი	1500
პ)	სპეციალისტი	1400
ჟ)	მოიერიშე სნაიპერი	2500
რ)	მოიერიშე სნაიპერი (რეგიონალური)	2400
ს)	უფროსი მებრძოლი ოფიცერი	2500
ტ)	უფროსი მებრძოლი ოფიცერი (რეგიონალური)	2400
უ)	მებრძოლი ოფიცერი	2400
ფ)	მებრძოლი ოფიცერი (რეგიონალური)	2300
ქ)	უფროსი ოფიცერი	1950
ღ)	უფროსი ოფიცერი (რეგიონალური)	1800
ყ)	ოფიცერი	1850
შ)	ოფიცერი (რეგიონალური)	1700
ჩ)	პასუხისმგებელი მორიგე	1200
	4. ოპერატიული დეპარტამენტი	
ა)	დეპარტამენტის უფროსი	6200
ბ)	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	5600
გ)	ღონისძიებების ოპერატიული მართვის ცენტრის უფროსი	5000
დ)	სამმართველოს უფროსი	4000
ე)	სამმართველოს უფროსი (სპეციალური ღონისძიებების)	4300
ვ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	3350
ზ)	განყოფილების უფროსი	2800
თ)	განყოფილების უფროსი (სპეციალური ღონისძიებების)	3000
ი)	განყოფილების უფროსის მოადგილე	2500
კ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	2650

	(სპეციალური ღონისძიებების)	
ლ)	ქვეგანყოფილების უფროსი	2250
მ)	უფროსი სპეციალისტი	1500
ნ)	სპეციალისტი	1400
ო)	უფროსი ოპერატიული თანამშრომელი	2100
პ)	ოპერატიული თანამშრომელი	2000
ჟ)	დაგეგმვის უფროსი ოფიცერი	2100
რ)	დაგეგმვის ოფიცერი	2000
	5. ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი	
ა)	დეპარტამენტის უფროსი	6200
ბ)	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	5600
გ)	სამმართველოს უფროსი	4000
დ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	3350
ე)	განყოფილების უფროსი	2800
ვ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	2500
ზ)	მძღოლი ოფიცერი	1750
თ)	უფროსი სპეციალისტი	1500
ი)	სპეციალისტი	1400
კ)	კავშირის უფროსი ოფიცერი	2100
ლ)	კავშირის ოფიცერი	2000
მ)	უფროსი ოპერატიული თანამშრომელი	2100
ნ)	ოპერატიული თანამშრომელი	2000
ო)	დამთვალიერებელი	1800
პ)	ვეტერინარი	1450
	6. გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი)	
ა)	გენერალური ინსპექციის უფროსი	6200
ბ)	გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე	5600
გ)	სამმართველოს უფროსი	4000
დ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	3350
ე)	განყოფილების უფროსი	2800

ვ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	2500
ზ)	განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	2300
თ)	უფროსი ინსპექტორი	2100
ი)	ინსპექტორი	2000
კ)	წამყვანი სპეციალისტი	1600
ლ)	უფროსი სპეციალისტი	1500
მ)	სპეციალისტი	1400
	7. ეკონომიკური დეპარტამენტი	
ა)	დეპარტამენტის უფროსი	6200
ბ)	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	5600
გ)	სამმართველოს უფროსი	4000
დ)	სამმართველოს უფროსი – მთავარი ბუღალტერი	4000
ე)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	3350
ვ)	განყოფილების უფროსი	2900 (I კატეგორია) 2700 (II კატეგორია)
ზ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	2500
თ)	განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	2300
ი)	უფროსი ინსპექტორი	1750
კ)	ინსპექტორი	1650
ლ)	მძღოლი	1550
მ)	უფროსი ბუღალტერი	1850
ნ)	ბუღალტერი	1750
ო)	ბუღალტერ-მოლარე	1750
პ)	მთავარი სპეციალისტი (ფინანსების, შესყიდვების, სამეურნეო)	1850
ჟ)	წამყვანი სპეციალისტი (სამეურნეო)	1800
რ)	უფროსი სპეციალისტი (ფინანსების, შესყიდვების)	1800
ს)	სპეციალისტი (ფინანსების, შესყიდვების, სამეურნეო)	1550

ტ)	უფროსი სპეციალისტი	1500
უ)	სპეციალისტი	1400
ფ)	უფროსი ავტოინჟინერი	1400
ქ)	ავტოინჟინერი	1250
ღ)	საწვავ-საცხები მასალების გამმართველი	1250
ყ)	საწყობის გამგე	1500
შ)	ტექნიკური მოსამსახურე	1550 (I კატეგორია) 1250 (II კატეგორია)
ჩ)	მთავარი კომენდანტი	2000
ც)	უფროსი კომენდანტი	1600
ძ)	კომენდანტი	1250
წ)	მთავარი მზარეული	2150
ჭ)	უფროსი მზარეული	1100
ხ)	მზარეული	950
ჯ)	ელექტრომექანიკოსი	1050
ჰ)	დამხმარე მოსამსახურე	900
	8. სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი	
ა)	დეპარტამენტის უფროსი	6200
ბ)	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	5600
გ)	მთავარი სამმართველოს უფროსი	5500
დ)	მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	5000
ე)	სამმართველოს უფროსი (იურიდიულის)	4100
ვ)	სამმართველოს უფროსი	4000
ზ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე (იურიდიულის)	3450
თ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	3350
ი)	განყოფილების უფროსი	3000

	(იურიდიულის)	
კ)	განყოფილების უფროსი	2900 (I კატეგორია) 2700 (II კატეგორია)
ლ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	2500
მ)	მთავარი იურისტი	2350
ნ)	უფროსი იურისტი	2150
ო)	იურისტი	2000
პ)	ჯგუფის უფროსი (სარეჟიმო)	2150
ჟ)	ჯგუფის უფროსი	2000
რ)	არქივის უფროსი	2000
ს)	უფროსი ოპერატიული თანამშრომელი (სარეჟიმო)	2000
ტ)	უფროსი ოპერატიული თანამშრომელი	1900
უ)	ოპერატიული თანამშრომელი (სარეჟიმო)	1900
ფ)	ოპერატიული თანამშრომელი	1850
ქ)	უფროსი რეფერენტი	1800
ღ)	მთავარი სპეციალისტი	1800
ყ)	წამყვანი სპეციალისტი	1600
	9. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების დაცვის დეპარტამენტი	
ა)	დეპარტამენტის უფროსი	6200
ბ)	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	5600
გ)	სამმართველოს უფროსი	4000
დ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	3350
ე)	განყოფილების უფროსი	2700
ვ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	2500
ზ)	ჯგუფის უფროსი	2000
თ)	ქვეგანყოფილების უფროსი	2000
ი)	ცვლის უფროსი	1700
კ)	დაცვის უფროსი ოფიცერი	1600
ლ)	დაცვის ოფიცერი	1500

მ)	წამყვანი სპეციალისტი	1600
ნ)	უფროსი სპეციალისტი	1500
ო)	სპეციალისტი	1400
პ)	უფროსი ოფიცერი	1600
ჟ)	ოფიცერი	1500
რ)	უფროსი ოპერატორი	1500 (I კატეგორია) 1350 (II კატეგორია)
ს)	ოპერატორი	1200
ტ)	საშვთა ბიუროს ინსპექტორი	1100
უ)	დაცვის თანამშრომელი	1250
	10. ესკორტირების მთავარი სამმართველო	
ა)	მთავარი სამმართველოს უფროსი	5500
ბ)	მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	5000
გ)	სამმართველოს უფროსი	3900
დ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	3350
ე)	განყოფილების უფროსი	2700
ვ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	2500
ზ)	ჯგუფის უფროსი	2000
თ)	უფროსი სპეციალისტი	1500
ი)	უფროსი ოფიცერი	1850
კ)	ოფიცერი	1750
ლ)	ოპერატიული მორიგე	1600
მ)	დაცვის თანამშრომელი	1300
	11. სამედიცინო მთავარი სამმართველო	
ა)	მთავარი სამმართველოს უფროსი	5500
ბ)	მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	5000
		3900

გ)	სამმართველოს უფროსი	2700 (არასრული განაკვეთი)
დ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	3350
ე)	განყოფილების უფროსი	2600
ვ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	2500
ზ)	რეანიმატოლოგი	1600
თ)	მთავარი სპეციალისტი	1750
ი)	უფროსი სპეციალისტი	1500
კ)	სპეციალისტი	1400
ლ)	ქირურგი	1200
		850 (არასრული განაკვეთი)
მ)	თერაპევტი	1200
		850 (არასრული განაკვეთი)
ნ)	ნევროპათოლოგი	1200
		850 (არასრული განაკვეთი)
ო)	ოკულისტი	1200
		850 (არასრული განაკვეთი)
პ)	ოტოლარინგოლოგი	1200
		850 (არასრული განაკვეთი)
ჟ)	დერმატოლოგი	1200
		850 (არასრული განაკვეთი)
რ)	ფსიქიატრი	1200
		850 (არასრული განაკვეთი)
ს)	ფსიქოლოგი	1200
		850

		(არასრული განაკვეთი)
ტ)	მორიგე თერაპევტი	1050
უ)	მორიგე ექიმი	1050
ფ)	მედდა	1000 700 (არასრული განაკვეთი)
ქ)	სანიტარიული ინსპექტორი	1500
ღ)	ეპიდემიოლოგი	1500 1050 (არასრული განაკვეთი)
ყ)	ბაქტერიოლოგი	1500 1050 (არასრული განაკვეთი)
შ)	ბიოქიმიკოსი	1500 1050 (არასრული განაკვეთი)
ჩ)	ქიმიკოსი	1500 1050 (არასრული განაკვეთი)
ც)	ინჟინერი	1500 1050 (არასრული განაკვეთი)
ძ)	ლაბორანტი	1000 700 (არასრული განაკვეთი)
წ)	სანიტარი	950
	12. სამსახურის ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)	
ა)	დეპარტამენტის უფროსი	6200
ბ)	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	5600

გ)	მთავარი სამმართველოს უფროსი	5500
დ)	სასწავლო ცენტრის (მთავარი სამმართველოს) უფროსი	5500
ე)	მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	5000
ვ)	სასწავლო ცენტრის (მთავარი სამმართველოს) უფროსის მოადგილე	5000
ზ)	სამმართველოს უფროსი	4000
თ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	3350
ი)	განყოფილების უფროსი	2900 (I კატეგორია)
		2700 (II კატეგორია)
		2600 (III კატეგორია)
კ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	2500
ლ)	ჯგუფის უფროსი (საბრძოლო მომზადების)	2500
მ)	უფროსი ინსტრუქტორი (საბრძოლო მომზადების)	2300
ნ)	განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	2200
ო)	ჯგუფის უფროსი	2000
პ)	უფროსი ინსტრუქტორი	1900
ჟ)	უფროსი ინსპექტორი	1900
რ)	ინსტრუქტორი	1800
ს)	ინსპექტორი	1800
ტ)	მთავარი სპეციალისტი	1800
უ)	ფსიქოლოგი	1650
ფ)	წამყვანი სპეციალისტი	1600
ქ)	უფროსი სპეციალისტი	1500
ღ)	სპეციალისტი	1400
ყ)	კომენდანტი	1200
	13. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველო	
ა)	მთავარი სამმართველოს უფროსი	5500
ბ)	მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	5000
გ)	სამმართველოს უფროსი	3900
დ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	3300

ე)	განყოფილების უფროსი	2600
ვ)	განყოფილების უფროსი (პირადი დაცვის)	3000 (I კატეგორია)
		2800 (II კატეგორია)
		2600 (III კატეგორია)
ზ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	2300
თ)	განყოფილების უფროსის მოადგილე (პირადი დაცვის)	2750 (I კატეგორია)
		2550 (II კატეგორია)
		2300 (III კატეგორია)
ი)	ქვეგანყოფილების უფროსი	2000
კ)	ქვეგანყოფილების უფროსი (ოპერატიულ-ტექნიკური)	2050
ლ)	ქვეგანყოფილების უფროსი (პირადი დაცვის)	2500 (I კატეგორია)
		2200 (II კატეგორია)
		2000 (III კატეგორია)
მ)	ჯგუფის უფროსი	1900
ნ)	ცვლის უფროსი	1650
ო)	ცვლის უფროსი (პირადი დაცვის)	2500 (I კატეგორია)
		2200 (II კატეგორია)
		2000 (III კატეგორია)
პ)	დაცვის უფროსი ოფიცერი	1600
ჟ)	დაცვის უფროსი ოფიცერი (პირადი დაცვის)	2300 (I კატეგორია)
		2100 (II კატეგორია)
		1900 (III კატეგორია)
რ)	დაცვის ოფიცერი	1500
ს)	დაცვის ოფიცერი (პირადი დაცვის)	2200 (I კატეგორია)
		2000 (II კატეგორია)
		1800 (III კატეგორია)
ტ)	მძღოლი ოფიცერი	2300 (I კატეგორია)
		2100 (II კატეგორია)
		1900 (III კატეგორია)
უ)	უფროსი სპეციალისტი	1500
ფ)	სპეციალისტი	1400

ქ)	პასუხისმგებელი მორიგე	1550
ღ)	უფროსი ოპერატიული თანამშრომელი	2000
ყ)	ოპერატიული თანამშრომელი	1900
შ)	ოპერატიული მორიგე	1450
ჩ)	საშვთა ბიუროს ინსპექტორი	1100
ც)	დაცვის თანამშრომელი	1250
ძ)	კომენდანტი	1250
წ)	მძღოლი	1450
ჭ)	დამხმარე მოსამსახურე	900
	14. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველო	
ა)	მთავარი სამმართველოს უფროსი	5500
ბ)	მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	5000
გ)	სამმართველოს უფროსი	3900
დ)	აპარატის უფროსი	3700
ე)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	3300
ვ)	აპარატის უფროსის მოადგილე	3200
ზ)	განყოფილების უფროსი	2600
თ)	განყოფილების უფროსი (პირადი დაცვის)	3000 (I კატეგორია) 2800 (II კატეგორია) 2600 (III კატეგორია)
ი)	განყოფილების უფროსის მოადგილე	2300
კ)	განყოფილების უფროსის მოადგილე (პირადი დაცვის)	2750 (I კატეგორია) 2550 (II კატეგორია) 2300 (III კატეგორია)
ლ)	ქვეგანყოფილების უფროსი	2000
მ)	ქვეგანყოფილების უფროსი (პირადი დაცვის)	2500 (I კატეგორია) 2200 (II კატეგორია) 2000 (III კატეგორია)
ნ)	ჯგუფის უფროსი	1900
ო)	ჯგუფის უფროსი (ოპერატიულ-ტექნიკური)	2050

პ)	ცვლის უფროსი	1700
ჟ)	ცვლის უფროსი (პირადი დაცვის)	2500 (I კატეგორია)
		2200 (II კატეგორია)
		2000 (III კატეგორია)
რ)	დაცვის უფროსი ოფიცერი	1600
ს)	დაცვის უფროსი ოფიცერი (პირადი დაცვის)	2300 (I კატეგორია)
		2100 (II კატეგორია)
		1900 (III კატეგორია)
ტ)	დაცვის ოფიცერი	1500
უ)	დაცვის ოფიცერი (პირადი დაცვის)	2200 (I კატეგორია)
		2000 (II კატეგორია)
		1800 (III კატეგორია)
ფ)	წამყვანი სპეციალისტი	1600
ქ)	უფროსი სპეციალისტი	1500
ღ)	სპეციალისტი	1400
ყ)	უფროსი ოფიცერი	1600
შ)	პასუხისმგებელი მორიგე	1550
ჩ)	კავშირის უფროსი ოფიცერი	1900
ც)	უფროსი ტექნიკოსი	1200
ძ)	უფროსი ოპერატიული თანამშრომელი	2000
წ)	ოპერატიული თანამშრომელი	1900
ჭ)	რეფერენტი	950
ხ)	ოპერატიული მორიგე	1450
ჯ)	საშვთა ბიუროს ინსპექტორი	1100
ჰ)	დაცვის თანამშრომელი	1250
ჰ[1])	დამთვალიერებელი	1200
ჰ[2])	თერაპევტი	1000
ჰ[3])	სანიტარიული ინსპექტორი	1100
ჰ[4])	ვეტერინარი	1100
ჰ[5])	საწყობის გამგე	1250

ჯ[6])	კომენდანტი	1250
ჯ[7])	მძღოლი ოფიცერი	2300 (I კატეგორია)
		2100 (II კატეგორია)
		1900 (III კატეგორია)
ჯ[8])	მძღოლი	1450
ჯ[9])	ტექნიკური მოსამსახურე	1200
ჯ[10])	დამხმარე მოსამსახურე	900

შენიშვნა: თანამდებობრივი სარგო იმ თანამშრომლისა, რომელიც „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სამსახურს გადის სხვა შესაბამის დაწესებულებაში, შეადგენს 2800 ლარს.“.

დანართი №2

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის დადგენილება №30 – ვებგვერდი, 23.01.2023წ.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საკონტრაქტო სამსახურში მოკლევადიანი კონტრაქტის საფუძველზე ჩარიცხულ საკონტრაქტო მოსამსახურეთა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფ მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ნუსხა

1. სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მოკლევადიანი კონტრაქტის საფუძველზე ჩარიცხულ საკონტრაქტო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები:

№	საშტატო წოდებრივი კატეგორია (სპეციალური წოდების გათვალისწინებით)	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა
1.	დაცვის თანამშრომელი (სახელმწიფო დაცვის უფროსი სერჟანტი)	135
2.	დაცვის თანამშრომელი (სახელმწიფო დაცვის სერჟანტი)	130
3.	დაცვის თანამშრომელი (სახელმწიფო დაცვის უმცროსი სერჟანტი)	125
4.	დაცვის თანამშრომელი (სახელმწიფო დაცვის რიგითი)	120

შენიშვნა:

თუ საკონტრაქტო სამსახურში მყოფი მოსამსახურე დაინიშნება უმცროსი სპეციალური წოდების სხვა შესაბამის თანამდებობაზე (გარდა დაცვის თანამშრომლისა), თანამდებობრივი სარგო განესაზღვრება მინიჭებული სპეციალური წოდების შესაბამისი კატეგორიის მიხედვით.

2. სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში სამხედრო სავალდებულო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები :

№	სამხედრო სავალდებულო სამსახურში	თანამდებობრივი სარგოს

	მყოფი მოსამსახურე	ოდენობა
1.	რიგითი (სამხედრო წოდება)	100

შენიშვნა:

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფ მოსამსახურეს სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება, განესაზღვროს თანამდებობრივი სარგო 100 ლარზე მეტი ოდენობით, არა უმეტეს სახელმწიფო დაცვის რიგითის წოდებრივ კატეგორიაში საკონტრაქტო მოსამსახურისთვის დადგენილი თანამდებობრივი სარგოს ოდენობისა.“.

დანართი №3

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის დადგენილება №443 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის დადგენილება №30 – ვებგვერდი, 23.01.2023წ.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კადრის, საკონტრაქტო-პროფესიული და გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულ მოსამსახურეთა სარგოების ნუსხა სპეციალური წოდებისათვის

№	სპეციალური წოდება	სარგოს ოდენობა (ლარობით)
1	სახელმწიფო დაცვის გენერალ-პოლკოვნიკი	500
2	სახელმწიფო დაცვის გენერალ-ლეიტენანტი	400
3	სახელმწიფო დაცვის გენერალ-მაიორი	300
4	სახელმწიფო დაცვის პოლკოვნიკი	250
5	სახელმწიფო დაცვის ვიცე-პოლკოვნიკი	200
6	სახელმწიფო დაცვის მაიორი	150
7	სახელმწიფო დაცვის კაპიტანი	125
8	სახელმწიფო დაცვის უფროსი ლეიტენანტი	100
9	სახელმწიფო დაცვის ლეიტენანტი	80
10	სახელმწიფო დაცვის უმცროსი ლეიტენანტი	60
11	სახელმწიფო დაცვის ზემდეგი	35
12	სახელმწიფო დაცვის უფროსი სერჟანტი	30
13	სახელმწიფო დაცვის სერჟანტი	25
14	სახელმწიფო დაცვის უმცროსი სერჟანტი	20
15	სახელმწიფო დაცვის რიგითი	15

დანართი №4

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა კვებით უზრუნველყოფის საორიენტაციო ნორმები

1. საულუფე კმაყოფაზე მყოფ თანამშრომელთა კვებით უზრუნველყოფის სასურსათო იჯრა:

დასახელება	ბრუტო	სასარგებლო საკვების ბრუტო წონა გადანაყრების შემდეგ (თერმულ დამუშავებამდე)
პური (თეთრი)	700 გ	700 გ
ფუნთუშა (I ხარისხის ფქვილი)	100 გ	100 გ
ხორბლის ფქვილი	10 გ	10 გ
ბრინჯი	62 გ	60 გ
მაკარონი	60 გ	60 გ
ბარდა	84 გ	80 გ
წიწიბურა	86 გ	80 გ
მანანის ბურღული	40 გ	40 გ
ვერმიშელი	60 გ	60 გ
შვრიის ფანტელი (ჰერკულესი)	80 გ	80 გ
ხორცი (საქონლის) – I კატეგორიის – II კატეგორიის	 230 გ 250 გ	170 გ
ხორცი (ღორის) – I ხარისხის – II ხარისხის	 212 გ 267 გ	170 გ
ხორცი (ფრინველის)	243 გ	170 გ
სოსისი	122 გ	110 გ
თევზი (გაყინული) – უთავო – თავიანი	 115 გ 140 გ	100 გ
საქონლის ხორცის კონსერვი	170 გ	170 გ
შესქელებული რძე	20 გ	20 გ
არაჟანი	100 გ	100 გ
ხაჭო	60 გ	60 გ

მაწონი	100 გ	100 გ
ყველი	54 გ	50 გ
კვერცხი	3 ცალი	3 ცალი
კარაქი	40 გ	40 გ
ერბო	30 გ	30 გ
მარგარინი	10 გ	10 გ
მაიონეზი	55 გ	55 გ
ზეთი	20 გ	20 გ
ტომატ-პასტა	25 გ	25 გ
ძმარი	3 გ	3 გ
მარილი	20 გ	20 გ
შაქარი	90 გ	90 გ
ჩაი	2 გ	2 გ
კაკაო	4 გ	4 გ
ლობიო	84 გ	80 გ
კარტოფილი	400 გ	320 გ
ხახვი	55 გ	50 გ
კომბოსტო	150 გ	120 გ
ჭარხალი	24 გ	20 გ
სტაფილო	56 გ	45 გ
წიწაკა, საკმაზ-სანელებლები	1 გ	1 გ
მწვანილი	22 გ	20 გ
ბადრიჯანი, ისპანახი, ფხალი (სეზონურად)	125 -150 გ	110 გ
ბულგარული წიწაკა	50გ	40გ
ნიორი	6 გ	5 გ
პამიდორი (სეზონურად)	160 გ	136 გ
კიტრი (სეზონურად)	160 გ	136 გ
მდოგვი	10 გ	10 გ
ტყემალი	50 გ	50 გ
ხილი, ციტრუსი (სეზონური)	200 გ	200 გ

ხილის ჩირი	36 გ	35 გ
ხილის წვენი	200 მ/ლ	200 მ/ლ
კისელის კონცენტრატი	10 გ	10 გ
თაფლი	30 გ	30 გ
საკონდიტრო ნაწარმი	200 გ	200 გ
შოკოლადის ნაწარმი	60	60 გ
ჯემი	37 გ	37 გ.

2. მშრალი კვებით უზრუნველყოფის სასურსათო იჯრა:

№	პროდუქტის დასახელება	დღიური ნორმა
1.	პური მშრალი	300 გ
2.	დაკონსერვებული ლორი	200 გ
3.	საქონლის ან ფრინველის პაშტეტი	100 გ
4.	საქონლის ხორცის კონსერვი	600 გ
5.	შოკოლადი	100 გ
6.	ხილის წვენი	400 გ
7.	ყავა ერთჯერადი	2 გ
8.	ჩაი ერთჯერადი	2 გ
9.	შაქარი (რაფინადი)	25 გ
10.	ბოსტნეულის კონსერვი	150 გ.

3. მშრალი კვებით უზრუნველყოფის დამხმარე ნივთები:

№	პროდუქტის დასახელება	დღიური ხორცა
1.	ერთჯერადი ხელსახოცი	1 შეკვრა
2.	ერთჯერადი ხელსახოცი (სველი)	1 შეკვრა
3.	ერთჯერადი კოვზი-ჩანგალი	1 ცალი
4.	პოლიეთილენის ტომარა	1 ცალი

4. სასურსათო იჯრის ენერგეტიკული ღირებულების საორიენტაციო დღიური ნორმები:

ა) სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის, აგრეთვე სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით მომზადების სპეციალურ კურსზე წარდგენილი სპეციალური დანიშნულების დანაყოფებში ჩასარიცხი კანდიდატებისათვის, სასურსათო იჯრის ენერგეტიკული ღირებულების საორიენტაციო დღიური ნორმაა 4700-5000 კკალ (საუზმე: 1200-1300 კკალ, სადილი: 2200-2300 კკალ, ვახშამი: 1300-1400 კკალ);

ბ) სამსახურის უფროსის ბრძანებით ან/და სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მომზადების პროგრამით გათვალისწინებულ სხვა პირთა სასურსათო იჯრის ენერგეტიკული ღირებულების საორიენტაციო დღიური ნორმაა 4300-4700 კკალ (საუზმე: 1200-1300 კკალ, სადილი: 1900-2100 კკალ, ვახშამი: 1200-1300 კკალ).

შენიშვნა:

1. ამ დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრული კვებით უზრუნველყოფის სასურსათო იჯრაში გათვალისწინებული კვების პროდუქტები შეიძლება შეიცვალოს სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, თუ ეს არ გამოიწვევს ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფის სასურსათო იჯრაში შემავალი პროდუქტების ერთობლივი ენერგეტიკული ღირებულების დღიური ნორმის შემცირებას. ამავე პუნქტით გათვალისწინებულ „გადანაყარში“ იგულისხმება პროდუქტის ის ნაწილ(ებ)ი, რომელიც უვარგისია საკვებად მოხმარებისათვის.

2. მშრალი კვებით უზრუნველყოფის სასურსათო იჯრაში შემავალი პროდუქტები და დამხმარე ნივთები მოსამსახურეებს ეძლევათ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი კვებით უზრუნველყოფა ვერ ხორციელდება ამ დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრული სასურსათო იჯრის შესაბამისად.

3. მშრალი კვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში:

ა) დღიური ნორმით გათვალისწინებულ პროდუქტებზე არ ვრცელდება ამ დანართის მე-4 პუნქტით დადგენილი სასურსათო იჯრის ენერგეტიკული ღირებულების საორიენტაციო დღიური ნორმები;

ბ) კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯები არ იზღუდება ამ დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საორიენტაციო ნორმების შესაბამისად კვებით უზრუნველყოფისათვის დადგენილი ოდენობით.